

1906 13 მარტი 1916 წ.

ფასი 12 კაზ.

რედაქციის ადრესი: თბილისი, ოლღას ქუჩა № 6.


# ეჭვანები

# გამოცხად

იუმრობის  
უკრნალი

№ 11

ა. შავიძე —



ერელ-კირეული ბრძოლა

## „ყოფილი“.

უნდა გულ-ახლილათ მოგახსენოთ, რომ, როდესაც ჩემს თვალს გაზეთის ფურცლებზე, ან ჩემს ყურს ჰეპირ-მეტყველებაში დაეხატება სიტყვა „ყოფილი“ გულში რაღაც გამოურკვეველი გრძნობა მებადება ხოლმე.

მაგრამ როდესაც „ყოფილი“ ამაყობს თავისი „ყოფილობით“ და ვისიმე ნიშნის მოსაგებათ სწერს: „ყოფილი სოც. ფედერალისტი“ ან „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“ მაშინ ჩემი გრძნობაც გარკვეულ სახეს იღებს, — მე ამგვარ მოხაზულობას ჩემი გრძნობისას ზოზლს ვეძახი.

ერთი ასეთი „ყოფილი“ სოციალ-დემოკრატი ამ წინაშე სახალხო ფურცელშიაც სწერდა პეტრე გელეიშვილის შესახებ. ვინ იცის ის მწერალი მართლა „ყოფილია“, თუ განგებ თხზავს თავისს „ყოფილობას“, რომ ამით წერილში აღნუსხულ ფაქტებს მეტი ფასი დასდოს. მე მხოლოდ ერთი რამ მაკვირვებს; პატიცემული „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“ ახლა რომ აშკარათ იძახის „ყოფილი“ ვარ, მაშინ რატომ არ აცხადებდა გაზეთიერში „ნამდვილი სოციალ-დემოკრატი“ მე გახლავარო. ალბათ „ყოფილი“ უკვე უზრუნველყოფილია საფრთხისაგან. ჩემის აზრით „ყოფილობა“ რისაც უნდა იყოს იგი, არავთარო სატრაბახო საქმე არ არის.

აი თუნდა: „ყოფილი აეზაკი“, „ყოფილი ქველმოქმედი“, „ყოფილი ქვეითი“, „ყოფილი სულლელი“, „ყოფილი კაცი“, „ყოფილი მხეცი“ ორივე შემთხვევაში საძრახისია.

• ყველა ასე ადვილათ ვერ გადადის „ყოფილთა“ კატეგორიაში. ზოგიერთი პიროვნება ამ დროს „ორ წყალ შუა“ ვარდება. ასე დაემართა, მაგალითად ქ-ნ ნ. აზიანს.

შარშან დეკემბერში ართვინის მიდამოებში რსმალთა ჯარი გადამოიდა. ამან დიდი შიში გამოიწვია თფილისის მცხოვრებთა შორის. შიშმა შეიპყრო ქ-ნ ნ. აზიანიც და რკინის გზის სადგურისაკენ გააქანა, რომ ყარაურგანში მყოფ ისმალთავან თავი დაეხწია.

საღვური ხალხით საფეხ დახვდა. ჩადგა რიგში და როცა კისასთან მიეიღა მაშინ გაახსენდა, რომ ფულზე ცატა ხელმოკლე ყოფილიყო. თუ მიკილებთ სახეში თათრების სიახლოეს, ისინი მა-

შინ თითქმის სამასი ვერსის მანძილზე იყვენ თფილისიდან, სულაც არ გაგვიკვირდება ასეთი გულმავიწყობა.

ქ-მა ნ. აზიანმა აიღო ბილეთი მხოლოდ ბაქომდე და იშოვა ადგილი ვაგონში მაღლა თაროზე, ცერში ბარგის საწყობ ალაგას. პოზიცია თუმცა ვერავერიშვილია, მაგრამ მშვიდობიან უკანდახევას მაინც უზრუნველყოფს და ამით მოზღვაუბულ შიშს აცხრობს. საბარგე თაროდან ნ. აზიანს ფრთხილათ გაიხედა ფანჯარაში და გაახსენდა, რომ ის თფილისში იმყოფება.

„მშვიდობით თფილის! მშვიდობით საქართველო!“ აღმოხდა გულიდან უკვე დამშვიდებულ მწერალ ქალს ამ სიტყვების ხენებაზე და უციმია მოგონდა, რომ ის ინტერნაციონალისტია და სამშობლო არ უნდა ჰქონდეს. კედლისკენ გადაბრუნდა და... ტირილი დაწყო.

როცა ქ-ნი აზიანი დამშვიდდა, გაახსენდა, რომ ის ტომით სომხეთი და საქართველოს დატოვებაზე კი სტირის. ამან სულ არივ-დარია მისი თვეთ გამორკვევის საქაე. გამოდის რომ იგი ყოფილი არა მარტო „ყოფილი სოციალ-დემოკრატი“, არამედ „ყოფილი“ სომეხიც.

ნ. აზიანს მრავალჯერ უნახავს, თუ როგორის სიხარულით სტოვებენ საქართველოს შორეულ ჩრდილოეთისაკენ გადასახლებული ქართველი სოციალ დემოკრატები. გაუგონია, თუ როგორ ბედნიერით გრძნობენ თავს ისინი თავისს ახალ სამშობლოში, ვინაიდან მათ არა სწამთ თავისი ქვეყანა, თავისი სამშობლო კუთხე.

თითონ ქ. ნ. აზიანი კი უკვე იცრემლება „მთაწმინდის“ დანახვისათანავე და საბარგე თაროზე წამოწოლილი საშინელს ტრადიციას განიცდის. სამშობლოს სიყვარულის გრძნობამ უკვე ამოიყანა ის ინტერნაციონალური ჯურლმულიდან და ნაციონალიზმის ბედნიერ ფრთხებზე შესაკუპა. ის უკვე თავს „ყოფილ სოციალ-დემოკრატი“ გრძნობს და ეს ოდნავ უნელებს მძიე სატანჯველს.

ვინც რიგიანათ ჩაუკირდება ამ მოთხოვნებს, რომელიც ამოღებულია ქ-ნ ნ. აზიანის აღსარებიდან, („სახალხო ფურცელი“ 513) ის დაინახავს, თუ როგორის ტანჯვით მოიპოვა ხშირად საპატივო სახელი „ყოფილილი სოციალ-დემოკრატისა“.

ნ. აზიანის ისტორია აქ ილიუსტრაციას აღარ საჭიროებს.

## მელი და ცხოველები.

შავი ტყიდან გამოვარდა  
გაშოცდილი ლიდი მელი,  
გადირბინა მთა და ბარი,  
მოიარა ყრუ სოფელი.

გააცხადა: ცხოველებო,  
თუ რამე გაქვთ გასაჭირი,  
არ დამალოთ ჩემს წინაშე,  
შეწუხებას თქვენსას ვსტირი;

მინდა ვიქნე თქვენი მხსნელი,  
მოგაშოროთ წყლული, ჰირი,  
სწრაფათ გაჩნდა მგლის წინაშე  
ყურ-პარტყუნა სისვი ვირი.

იყროყინა, მელი ემთხვია,  
მოიხარა მის წინ ქედი  
და მიანდო ყოველივე,  
თვისი საქმე, თვისი ბედი.

უთხრა: „მეფევ, დამიხსენი,  
მგლებმა აღარ შეგვასევნა,  
ჩვენ წვალებას, გაჭივრებას  
ველარ იტყვის სწორეთ ენა.

ცხვარიც გაჩნდა ბატონის წინ,  
და ამ ლექსით მოახსენა:  
ტურა-მგლებმა არ გვაცოცხლეს.  
არ გვალირსეს შვება-ლხენა.

თხაც მოვიდა... თაყვანი სკა,  
გააქანა წვერი გრძელი,  
ტირილითა და ვედრებით  
უთხრა: „იქმენ ჩვენი მხსნელი,

ტურა-მგლებმა სულ აგვიკლეს,  
დღე დაგვადგა მწარე შავი“  
მგლებმა მწყრალით დაიყვირა:  
„ეს რა მესმს, რა ამბავი!“

ცხოველების დასაჯერათ  
იყროყინა ვირივითა,

ხან თხის ხმაზე იპეტელა,  
ხან იბლავლა ცხვარივითა.

ცხოველებსა გაეხარდათ,  
გაიგონეს რა ხმა თვისი,  
მელი მხსნელათ დაისახეს,  
მორჩილება ჰქონდათ მისი.

მელმა უველა შაიყვანა  
და შერევა შუა გულ ტყეში,  
გამოძღა და გაიბერა,  
არ ყოფნია თითო დღეში.

სიმონ ჯორბენაძე.

## ნომერი 3007.

ქ. გორის ყოფილი თავი ბ-ნი ზ. ქიტიაშვილი მძიმეთ ჩაფიქრებული იჯდა საწერ მაგიდასთან და ვიღაცას ელოდა.

მომსელები არა სხანდა. თავ-ყოფილი მოუთმენლად ჩასკეროდა საათს. უცებ თვალი მოჰკრა საათის ნომერს და რაღაც უსიამოვნოთ შეიშმუშნა. საათზე წვრილი ნიშნებით იყო აღბეჭდილი № 3007.

— დასწყილოს ღმერთმა, ეგ ნომერი გორშიაც არა მშორდებოდა, ახლა აკი აქაც თან გამომყოლია.

ის წამოდგა, სწრაფად მივიდა ტელეფონთან და წიგნის ფურცელა დაიწყო. მან იპოვა საჭირო გვარი, დახედა ნომერს და გაშეშდა.

— ღმერთო ჩემო აქაც ის, ის ოხერი ციფრი. არა ეს ყოვლად აუტანელია.

ექს თავი მსწრაფლ მოშორდა ტელეფონს, ფანჯარასთან დაჯდა და ქუჩაში ცეკრა დაიწყო. ფანჯრის წინ მეეტლე იდგა და მშენივრად გაწმენდილ ფარნებზე შავიდ ეწერა საბედისწერო რიცხვი № 3007.

— ეგ სწორედ გამაგიუებს. მე ამას ვერ გავუძლებ!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა ზ. ქიტიაშვილი და ოთახში წინ და უკან დადიოდა. — უნდა ქუჩაში გავიდე, იქნებ გული გადავაყოლო რასმე.

მან ჩაიცა პალტო, დაიხურა ქუდი და ჩამოვიდა ეზოში. კარებთან მეტოვეს იგი თითოეულის არა სოდეს არ დაჭვიორებებია, მაგრამ ახლა უნდა ლიეთ მიიცყრო იმისი ყურადღება მეეზოვის გულზე ბეჭერიალა უშტრის ნაცერმა. ექმტზე ნათლიად

მოსჩანდა უკვე ცნობილი № 3007. ქიტიაშვილმა ხელი ჩიქნია, თითქო იძებარ კოლონებს იშორებას და ქუჩაში გავარდა.

დიასახლისის პატარა გოგის, რომელიც სა-აზნაურო გიმნაზიის მეოთხე კლასში სწავლობს, მასშავლებელმა დიდათ თავსატეხი ამოცანა გამოატანა სახლში გასაკეთებლათ. აი ის ამოცანა:

„№ 3007. ერთი ვაჭარი, 1905 წელს ქ. გორიდან გაემგზავრა შორეულ ქვეყანაში. წასკოლისას მას ჰქონდა ჯიბეში 60 მან და 14 კაპ. ვაჭარმა დაპყო ჩრდილოეთში 1 წელიწადი და დახარჯა ნახევარი თავისა ქონებისა. კითხვა: რამდენი კაპეკი ჩამოჰყა უკან დაბრუნებულ გორელ ვაჭარს?“

პატარა გოგი ჭირის ოფლში იწურებოდა, მაგრამ ამოცანას ვერაფერი გაუგო. დედა მისს გათავ ვებული აქვს მხოლოდ ქალების გიმნაზია და აბარ რა უნდა გაუგოს ასეთ ჯაჯოხეთურ გამოკანას. სწორეთ უნუღეშო მდგომარეობაში იყო პატარა გოგი, რომ ძია ზაქარია არ წამოსწორებოდა.

— ძია ჯენაცვალე, მიშველე, თორემ ხეალ „კოლი“ მექნება.

— აბა მოიტა!

— აი, ძია!

თავ-ყოფილს ჯერ არც დაეწყო ამოცანის კითხვა. რომ დავთარი აერია, ვინაიდან თვით ამოცანას ეწერა № 3007.

— ძნელია ძია ზაქარო?

— არა, უნახოთ. რა უნდა იყოს აქ ისეთი.

— მაშ რამ დაგაფიქრა?

— ისე... ტყვილათ... „ერთი ვაჭარი...“

რაოდ ვაჭარიო?

— ჰოდე!

— „ერთი ვაჭარი 1905 წელს...“ რა ახირებული ამოცანაა...

— რატომ არის ძია ახირებული?

— ისე ტყვილათ... ისე მნჩენება თითქო ნაცნობია რაღაც.

— შენთვინ ნაცნობი იქნება მა რა!

— „გაემგზავრა შორეულ ქვეყანაში“... ეგ პირდაპირ გასაოცარია!..

— სულაც არა, ყველა ვაჭარი ასე დადის შორეულ ქვეყანაში.

თავ-ყოფილმა ჩაიკითხა ბოლომდე მართლაც ახირებული ამოცანა. ფარული მდელვარება დაიმ-

შვილა და ამოცანასაც აღვილათ გაუგო ასავალ-და სავალი.

— თუ მას წასკოლისას ჰქონდა 60 მანეთი და 14 კაპეკი, ხოლო იქ დახარჯა ნახევარი, ცხადია 60 მან. და 14 კაპ. უნდა გავყოთ ორზე...

— ორზე რატომ, როცა ვაჭარი ერთი იყო? მორცხვად შენიშვნა გოგის დედამ.

— დააცა დედიკო, ძიამ უკეთ იცის.

— კარგი, შვილო, კარგი!

— 60 მან. და 14 კაპ. ნახევარი რომ გივი გოთ, ამიტომ უნდა გავყოთ ორზე. მივიღებთ 30 მანეთისა და 7 კაპეკს. მაშ იმას დაუხარჯავს 30 მანეთი და 7 კაპ.

ახლა ჩვენ უნდა გავიგოთ რამდენი ჩამოჰყა მას აქ.

— აქ კი არა, ძია, გორები. ის ვაჭარი გორიდან იყო წასული.

— ვიცი, ვიცი. ამისათვის საჭიროა 60 მანეთი და 14 კაპ. გარევაკლოთ 30 მანეთი და 7 კაპეკი. დაგვრჩება 30 მანეთი და 8 კაპეკი.

— არა, არა! თოთხმეტს თუ შვილს მოვაკლებთ შვილი დაგვრჩება.

— ეეე! ჯანი გივარდეს, დაგვრჩება 30 მანეთი და 7 კაპ. ამით გათავდა საქმე.

— „ატვეტში რომ ასე არ არის?“

— როგორ თუ არ არის?

— იქ 3007 კაპეკია.

— ეგ შეუძლებელია!.. კარგი მეყოფა...

— იქნებ იქ შეცდომა შვილო, ძია ზაქარია ხომ არ შეცდებოდა.

— არა დედი, არ არის „შეცდომა, შალიკოს სწორათ გამოუვიდა.“

— აბა რავიცი გენაცვალე, წალი და შალი კოსა ჰყითხე.

მორიცხვი.



## წურბელა და ობობა.

(არავ. ძღვნათ გ-ს და ა-ს)

ერთხელ წურბელა ობობას  
დაუძმობილდა სრულადა;  
უთხრა: „წავიდეთ იქ, სადაც  
სისხლი სჩერტს ნაკადულადა.  
ამბობენ: — ჭუჭყიანეთში  
არის ასეთი მხარეო,  
ვინც იქ მიაწევს, გაჟრება  
მისთვის ცხოვრება მწარეო“.  
მან უპასუხა: — „ძმობილო,  
ეს მართალია, მარაო  
ტკბილ ცხოვრებისთვის მკვდრის ცივი  
სისხლი განა კი კმარაო?  
საჭირო არის ამისთვის,  
რომ თფილი სისხლი ესწოვოთო  
— მერე სად უნდა ვიშოვოთ  
და როგორ მოვიპოვოთო?  
— შენ არხეინათ იყავი,  
ეს ჩემს კისერზე იყოსო,  
ოლონდ ფეხის ხმას არ აჟყვე,  
არავინ გაგაბრიყვოსო:  
მე ისეთ ქსელებს გავაბამ,  
ვერ ასცდეს ერთი მწერიო;  
შენ იქვე გაინაბები,  
როგორც ყანაში მწყერიო;  
რა გაებმება, ეცემი,  
სისხლს გამოსწუტნი თფილათო,  
მაგრამ თან, რომ არ გაგექცეს,  
კი უნდა იყო ფრთხილათო“.  
შეუდგა საქმეს ობობა:  
გააბა ქსელი ქსელზედა.  
წურბელაც ტბის პირს აფოთხდა  
და გაინაბა ველზედა.

დრო გადის. წუთით წუთამდე  
ებმება ბუზი, პეპელა..  
წურბელა გახარებული  
სწოდს და სწოვს თფილ სისხლს ნელნელა.  
ისე გასუქდა, გაკეთდა,  
ვეღარ ცნობს ძეელათ მნახველი.  
თავიც კი მოაქვს უბადრუკს,  
ვით დიდ საქმეზე მზრახველი!  
და ეპნება ობობას:

— „ნუ ჩამომართმევ კვეხნათო,  
მე და შენ, ვიტყვი თამიმათ,  
ტოლი არვინ გვყავს ქვეყნათო!“  
ისც თავს უქნევს ცბიერათ:  
„ვიშ, რა კილოზე მღერიო!“  
გულში კი ფიქრობს: „დაიცა  
შენზეც მოდგება ჯერიო“.

დაზამთრდა. დაბა-სოფლებსა  
ეწვია ზამთრის ფერია!  
მთა თეთრათ მოაგვირისტა,  
ტყე-ველს უცვალა ფერია;  
სალ კლდებს ყელზე დაპკიდა  
ყინულთა ბროლის შუბები...  
და სიცივისგან მთლად გაწყდა  
პეპელები და ბუზები.  
ობობამ უთხრა წურბელას:  
— „ძმობილო, გამიგონეო:  
ახლა კი ჭუჭყიანეთი  
არის-ლა ჩვენი ლონეო.  
მოდი „წავიდეთ...“ და თანცვე  
ნელი გაუძღვა იქითა,  
სადაც მას ქსელი გაება  
წინათ განზრახსულ ფიქრითა.  
გაება ჩვენი წურბელა  
და გაიხლართა მახეში:  
თუ უმუხოლებდა ძმობილი  
ეს არ ქონია სახეში.  
ობობამ წუწნა დაუწყო,  
ყელში ჩაარჭო ნესტარი.  
ხედავს წურბელა: წამშარდა,  
რაც სვა ცხოვრების ნექტარი  
და დაიგრიხა სიმწრისგან...  
ჰკითხა: „რას შვები ამასო?“  
შენ, ძმავ, ყაჩალი ყოფილხარ,  
გავდი კი „სულის მამასო“!  
ობობამ ასე მიუგო:

— „როდესაც სხვის სისხლს სვამდიო  
ერთი მითხარი, გეთაყვა,  
ამ საკითხს რათ არ სვემდიო?  
და ტკბილათ გადიხარხარა  
და გამოსრუტა წურბელა:  
ავი ყველასთან ივია —  
დამეთანხმება სუყველა!

ჩახრუსაძე.

## პატარა ფელეტონი.

„საქართველოს“ რედაქციაში აუშერელი სისარულია აღმათ საბუთიცა აქვთ მხიარულებისა. ეროვნული ბურუჟაზია, პრაქტიკის ხალხია.

— ეს ყოვლად შეუძლებელია. ამბობს დ. კასრაძე — ამდენი ყურადღება ჩვენ არ დაგვიმსახურებია.

— ჩაგრული ერის სიყვარული, მისი ძველი ისტორიის სიღიადე, მისი დღევანდელი მწუხარება ამქმედებს ჩვენდამი სიყვარულით აღგზნებულ მოციქულს. დინჯათ წარმოსთვევა საეკლესიო კითხვებში გარკვეულმა სანდრო შანულაშვილმა.

— ჩვენი პურ-მარილი და სიყვარული მღვდელ-მთავრისადმი სრული თავმდები იყო იმისი, რომ ჩვენს ეკლესიას ასეთი მოწყვალე გულით მოჰკვრობოდნენ. შენიშნა დ. კახელმა.

— მე მგონია, აქ კერძო პირის რეალ გულკეთილობასთან გვაქვს საქმე და არა საზოგადოებრივ სიმპატია-ანტიპატიასთან, დასძინა სპ. კედიამ.

— ასეა, თუ ისე, ჩვენი ქვეყნის ბედნიერება სიყვარულის ჩაქუჩით იქნება და ეს ჩაქუჩი ღირსეულ ხელს უპყრია. ჩილაპარაკა ა. ახმეტელმა.

რედაქციაში შემოსულ პართენ გოთუას თითქმის ერთხმდ მიაძახს.

— გაიგე? გაიგე? შეიტყვე?

— რა მოხდა? რა ამბავია?

— არ იცი?

— განა არ გაგიგია?

— კაცო, სადა ცხვირობ, მთვარეზე თუ?

— დეპეშები არ მოგდისთ?

ყველანი ერთად, ერთხმად ელაპარაკებილნენ და მხოლოდ პართენის მახვილ სმენას თუ შეეძლო ცალკე კითხვების გარჩევა.

— რას მაწვალებთ, თუ რამ იცით მითხარით. საიდუმლო თუ იყო ნერწყვი რაღას მომგვარეთ.

— ნერწყვი მაშინ მოგივა, როცა ნამდვილს გაიგებ.

— ველი გაგებას, თუ მალირსებთ.

დავ. კასრაძემ აიღო დილი ფურცელი, სადაც რუსული დეპეშის შრიფტით რაღაც ამბავი ეწერა.

— აი ჩვენი საკუთარი კორესპონდენტის გვეშაპელის დეპეშა. სულ რაღაც საათ ნახევარია რაც მივიღეთ.

— ჰქენი სიკეთე, წაიკითხე.

— აბა მომისმინე. „სიამოცებით და სიხარულის ცრემლით თვალზე, გაუწყებთ ძვირფასო მეგობრებო ჩვენი ქვეყნის ბელნიერებას. ივერიის მრავალ-ტანჯულ ეკალესიას ბელმა გაულიმა. ჩვენი საყვარელი მთავარის ცდამ ნაყოფი გამოიძო. ნაყოფი დიდი, დაუფასებელი. გადაწყდა აღდგენილ იქმნას მისი უფლებები ჩვენი ერის საკეთილდღეოთ. უკვე საბოლოოთ გამოირკვა, რომ იხსნება შგმდები საეპისკოპოსო კითედრები:

1— მცხეთისა, სადაც კანდიდატათ დასახულებულია არქიმ. იოსები (ერის კაცობაში იოსებ გედეგანიშვილი.)

2— გელათისა სადაც რამოდენიმე პირი დასახელებული, მაგრამ მათ შორის მეტი შანსი მამა იოანეს (ერის კაცობაში კირა აბაშიძე) მხარეზეა.

3— გარძისია — სადაც ერთი უტყუარი კანდიდატია დეკანოზი სამსონი (ფირცალავა) როგორც უკეთესი მცირდნე ამ კუთხისა.

4— ურბნისისა — მიეცემა ალ. ურბნელს.

5— მარტვილისა — სადაც დასახელებულია ორი კანდიდატი: თეოდორე და სპირიდონე. (ერ. კაც. თეოდორ ურბნისა და სპ. კერია) პირველს მეტი შანსები აქვს. პირველს სხვათა შორის მამა ვოსტორგოვიც იცავს.

6— გარეჯისა, სადაც აკურთხებენ არქ. დავითს (დავით კახელად წოდებულს).

7— შემოქმედისა — უცილობლად გადაეცემა მათ კურთხევას დეკანოზ პართენს (ერისკაცობაში გოთუას)

8— ბეთანიისა — არქ. გერონტის.

9— რუსისია — მამა კონსტანტინეს (ერის კაცობაში კოწია თუმანიშვილის, თუ კი იგი მართლმადიდებლობას მიიღებს)

10— წილკანისა — მიეცემა ბერ-მონაზონს გორგის (გიორგი ამირაჯიშვილის) მხოლოდ ომის გათვების შემდეგ.

11— მარტუმოფისა, დაეთმობა დეკან. რევაზს. (რევაზ გაბაშვილის).

12— ჰედაზენისა, მიეცემა არქიმან. დავითს (ერის კაცობაში დავით კასრაძე).

13— შიო მღვიმისა სადაც განშესებული იქნება უნიჭიერესი ქართველ მღვდელ-მოქმედთა შორის მამა ალექსანდრე (ერის კაცობაში ალექს. ახმეტელი)

შეგობრებო, ეს პირველი ჯგუფია. მუდამ წელიწადს გაიხსნება ცაშეტ-ცაშეტი ახალი კათედრა, ვიღრე ყველა მოზღიულ სოფელს არ ეყოლება თავისი მღვდელ-მთავრი.

წარმოიდგინეთ მაშინ საქართველოს ბეჭნიერება!

გ. ვეშაპელი“.

საზოგადო მხიარულებისა და აზრით გაცვლა გამოცვლის შემდეგ პარტენ გოთუამ წამოაყენა ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი.

— ეს ყველაფერი ჩინებულია, მაგრამ სად უნდა იცხოვრონ ახლად დანიშნულმა მღვდელ-მთავრებმა?

— მართლა, კაცო! იქნებ თფილისილან თავ-თავის სამწყოში გაგვაძეონ. ეს ხომ შესაძლებელია? შენიშნა დ. კასრაძემ.

— არა და ახალ კლუბში გაგიხსნიან კათედრას გამოეკვამათ სანდრო შანშიაშვილი.

— მაშ როგორ მოვიქცეთ?

— ეშმაქმა იცის!!

ეშმაქი.

## აირია მონასტერი!

სწორეთ აირია მონასტერი ანტიქრისტე არ-სად სჩანს, თორემ სხვაურივ ნამდგილი მეორეთ მოსვლაა. აღარაფერია წინანდებური.

ეგ სიძირე ხომ ცხრა თავიან დევებივით საათობით იზრდება.

ეს ყაჩაღებიც ხომ მაშინ გამრავლდენ სოკო-საყით, როცა ხალხს პურის ლუკმა არა აქვს. შინელებს და ქალამანებს მაშინ ხდიან, როცა მამასიხლათ ყიდულობს. „სად იყვნენ“ ეგ დალოცვალები როცა შინელში შეიდ აბაზს ვაძლევდიო“, წუწუნებენ გლეხები. სადაც კაცები აღარ არიან, დედაკაცებზე და ბაღნებზე მიღიან იყრიშით. და გამარჯვებულებიც გამოდიან. არსენა და კაკო მა-გათთან რა სახსენებელია!

სტრატიკებს აღარ იკითხავთ? სოფელს ყაჩა-ულობენ! თავიანთ ცხენებს სანამ თითონ კარგათ არ გააბანებენ, ერთგულათ არ გასწმენდენ, სანამ კარგათ არ მოაჭმევენ „კორმას“ და თითონაც რა-მოდენიმე გრადუსით არ შეხურდებიან, სასროლათ არ გავლენ ყაჩაღებთან. რას იზამ ინსტრუქცია ნებას არ გვაძლევსო!

სამაგიეროთ წერილი მოხელეები პირნათლად ასრულებენ თავის მარცვობას.

ვიღაც რუსი გარიბავოი გადამკიდებია. მოსვენებას არ მაძლევს. მესამეთ გამაჩერა ამ თელავის ქუჩაზე. დაუზინებია: „შენ ნემეცი ხარო“. შე მამა ცხონებულო, საიდან ვგრავ ნემეცს, რომ სიზ-მარშიაც არ მინახავს ცოცხალი ნემეცი მეთქი.

— არა, შენ ნამდვილ გადატული ნემეცი ხარო.

— ვა!! ესეც კარგი ოინია!!

— შენი ქუდი ნამდვილ ნემეცურიაო.

ოჰო! აბა რით გინდა დააჯერო, რომ ეს ქუდი ნამდვილ ფრანგულია და ვიყიდე მხოლოდ სიაფის გამო.

— გეფიცები ღმერთს, სარწმუნოებას, წმინდანების ძვლებს, რომ ეს ქუდი ფრანცუზი არის და არა ნემეცური.

შენც არ მომიკვდე მკითხველო. „Идемъ приставу“ და მომავლო ხელი.


ეხლა კი შევფიქრდი!! (ღმერთმა იცის რა კაცია პრისტავი. იქნებ იმას პირდაპირ ვილგელმი ვეგონო?!?) აქ კი ავამუშავე ტვინის აპარატი და როგორც კი დავუპირდაპირდი მე და ჩემი წესრიგის ღამევლი აღნიშნულ ადგილს, — ვიტაცე მუცმლიზე ხელი და მოვყევ კრუნჩხვას და პრანჭვას. ვაი, ვაი, მუცელი, მოვკვდი, მიშველე ჩქარა, არაუკა, ჩქარა სადმე არაყი...

ჩემმა კეთილმა თანამგზავრმა იქვე სამიკიტნოში შემიყვანა. გამოვაჩნინე როგორც იყო მიკიტანს ერთი „პოლებუტილკა“ თელავის „მერზავჩიკი“ და ცოტა მოვსრუტე მუცლის ღასამებლათ. დანარჩენი თანამგზავრს შევთავაზე. მასაც თვალები გაუბრწყინდა მეც მუცელი მომირჩა. ხელი მაგრათ ჩამომართვა. კუდს დააკერდა და ეჭვის თვალით მითხრა:

— შენ მართალი ხარ, ეგ ქუდი უფრო ფრანგული უნდა იყოს. მაგრამ სულერთია, მშვიდობით.. თუ ხშირათ იცით მუცლის ტკივილი, არაუკი უებარი წამალია.

მოდი და სთქვი, არ აირია ქვეყანა?

ლოთი—ფოთი.



მშვიდობიანობა: სჩანს კიდევ დიდხანს არ  
მომიწვეს დედა-მიწაზე დაშვება.

## ვინა სთქვა.

(ქაქმო შაჩხანისთვის.)

ვინა სთქვა, ქვემო-მაჩხანი,  
ჩამორჩენილი არიო?

ვინა სთქვა, სხვებზე ნაკლებათ  
გვყავს მუქთა ხორა ჯარით?



მსახ. ა. იმედაშვილი  
„ოტელოს“ როლში.

არა!.. ჩვენც გვიზის უფროსად  
„ჩაქუჩას ბიჭი“ ბასილა...  
(თუმცა ჯერ სხვა მამებსავით  
ყელამდე ის არ გავსილა.

ქეიფი მისი საქმეა.  
ამისთვის გაჩენილაა  
და სოფლის საჭირისუფლოდ  
ჰყავს „პომოშნიკი“ ილია.

ფერშალიც უზის მაჩხანს  
გამოცდილი და ჭკვიანი...  
უწამლოთ ხელად მოგარჩენს  
რაც უნდა გქონდეს ზიანი.


მხოლოდ ქართველი გამოსჩანს  
ღარიბი, ცარიელია  
რამაც შეუწყო აფთიაქს  
რიგზე მოითბოს ხელია.

სამკითხველოც კი არსებობს  
აქ... (მუდამ დაკეტილია.)  
ნეტავ რას ფიქრობს ვიცოდეთ  
კონდრატე, ან და ილია.

ვისაც სურს თვალის ჩავლება  
მუნ უურნალ-გაზეთებისა,  
ფოსტაში უნდა მოარძანდეს...  
ყველა იქ დაუხვდებისა.

ბევრი რამ შესანიშნავი  
აქვს სხვაცა ამა სოფელსა...  
რასაც შემდეგში, უცვლელათ  
გაუწყებთ თითქმის ყოველსა.

გეხი.



## მთვრინავი

გზა ჩემი ვლისა  
პეშმარიტად არს სახიფათო.  
თუმც ასპარეზი საოცნებო  
მიპყრია ფართო,  
მაინც მაფიქრებს  
მე წინსვლისა ჩემის სიმალე...  
ვგრძნობ, გან კითხვის დღეს  
და აღსასრულს მივაღწევ მალე.  
მაშ გასწი, ყანჩავ,  
და ნავარდს მიეცეს ბოლო...  
ჩემის დიდების  
და ნუგეშის  
შენ ხარ სიმბოლო.

გასწი გაფრინდი,  
გასწი, ყანჩავ, განვარდე...  
მზესაც შეშურდეს  
შენი ფრენა, შენი სიმარდე.

— გი.

## ჩემი დღიური.

ოთხშაბათი 10 თებერვალი. ერთად-ერთი  
დარაჯი ქართველი ხალხისა და ორგანო ერთ-ერ-  
თი პოლიტიკური პარტიისა „სახალხო ფურცელი“  
დღევანდელ ნომერში სწერს:

„აღარავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს,  
რომ მათთვინ (ე. ი. ქართველი დეუტატებისათვის)  
საქართველო არ არსებობს“. (მოწინ. № 499).  
არ ვიცი ღმერთანი რა გვეშველებოდა, თუ გან-  
გებას ჩვენთვის „სოც. ფედერალისტები“ არ გაუ-

ჩინა. მორიდება, დაზოგვა და მამიდაშვილობა მათ კარაბალინში არა სწერია. განა მართლაც არსებობს საქართველო ჩვენი დეპუტატებისათვის? რა-საკვეირველია არა. კარლო ჩხეიძე აგერ რამდენი ხანია სახელმწიფო დუმაში ორატორობს და ერთ-ხელ რა არის, ერთხელაც ქართულად ენა არ დაუძრავს. ენა ხომ პირველი, ფაქტორი ეროვნებისა. რას ვაქნევ ქართველ გლეხებსა და მუშებზე ზრუნვას, თუ კი ტკბილი ქართული სიტყვა გაჰქრება და ყველანი უცხო ენაზე დაიწყებენ ლაპარაკს?! არა, მათთვის ჭეშმარიტად რომ აღარ არსებობს საქართველო.

**პარასკევი 12 თებერვალი.** ჩვენი ერის დაუღალავი დარაჯი და ჭირისუფალი „სახალხო ფურცელი“ კვლავ განაგრძობს ქართველ სოციალ-დემოკრატია და ჩვენებურ დეპუტატია მხილებას. მიყვარს და მომწონს მე მათი ესე ვითარი თავდაცება, ესე ვითარი სიმტკიცე.

„ომი არ იყო, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ ჩვენს სოციალ-დემოკრატებს არა სწამთ არც საქართველო და არც მისი პოლიტიკური ინტერესები“.

„ჩვენებურ დეპუტატებსაც საქართველო, როგორც თავიანთი სამშობლო არა სწამთ“.

„ქართველი დეპუტატების ლექსიკონიდან საქართველო ამოშლილია“.

„საქართველო მათი (ე. ი. ქართველი დეპუტატების სამშობლო არ არის“) (პრესა, № 501)

აქ სტილიც არის დაცული, თანდათანობაც და გონიერებაც. მართლაც, განა რომელ ქართველ სოციალისტა სწამს საქართველოზ ეს დაუღალავი მათი. შრომა ჩვენს დაბა-სოფლად და ქალაქებში განა აშკარად არა ხდის მათ ფარულ გულის ზრახვას, რომ მოწალინებული პარიან საქართველო მოისპოს, ქართული ენა გაქრეს? ჭეშმარიტათ წინდახელული, შორს გამჭვრეტელი და თან ყოვლად პატიოსანი ხალხია ეს ფედერალისტები. თოლი უაღრესად გულწრფელი ხალხია ეს ფედერალისტები.

ერთხელ მე აკაკი ჩხეინკელია კვითხე:

— ბატონი აკაკი, თქვენ სადა ხართ დაბა დებული?

— ჩემი სამშობლო ამერიკაა. ჩიკაგოში დავიზადე და სწავლა გაშინგტონში დავასრულე.

— არა, მე ვიცი, რომ თქვენ ქართველი ბრძანდებით. ლაპარაკიც ქართული გცოლნიათ...

— გარწმუნებო, ამერიკელი ვარ...

მე სულელს მაშინ არაფერი არ მესმოდა ქართველობის შესახებ და არც ამათ ჰქონდათ დაწერილი ასეთი საუცხოვო განმარტებები. ახლა ვცი, რომ ის ქართველი არ არის და საქართველო არ შეიძლება მისი სამშობლო იყოს. ასე სასარგებლო გონიერი გაზეთის კითხვა.

**შაბათი 13 თებერვალი.** ვენაცვალე კალმის წვერში არ გაუშვებს არც ერთ დღეს და არ შეარჩენს არც ერთ სიტყვას, თუ წინ არ გაიბურთავა. აი მოვალეობის პირნათლად ასრულება (სამშობლოს წინაშე!) სწორედ ამასა ჰქვია! აი დღეს რასა „შეტა სახალხო ფურცელი“:

„როდესაც ქართველი სოციალ-დემოკრატია ლაპარაკობს სამშობლოზე, იგი ამ სამშობლოს ვერა გრძნობს, ვერა ხედავს. ლოლიურათ მაშინ მან საქართველო უნდა დასახოს სამშობლოდ. ეს კი ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს არა სურთ“ (პრესა, № 502)

სწორედ მხიბლავს ეგ თანდათანობა, ერთ გზაზე სწრაფვა და ერთი რეალი მიზნის დასახვა. რომელი სოციალ-დემოკრატი ხედავს თავისს სამშობლოს, ან როგორ შეუძლია დაინახოს ის, რაც მას არ გააჩნია და რასაც იგი ხედავს ეს ფედერალისტების სამშობლოა. მაშ ეგრე! და ე მოელმა ჭვებანამ იცოდეს, რომ:

I სოციალ-დემოკრატისათვის სამშობლო არ ასებდობს.

II ქართველ სოციალ-დემოკრატებს საქართველო არა სწამთ; მას თავისს სამშობლოთ არა სთვილია; ლექსიკონიდან უკვე ამოშალებს.

III საქართველო მათი სამშობლო არაა.

IV ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს სამშობლოთ მიჩნევა არა სურთ.

ეს კარგათ დავიმახსოვროთ და როცა საჭირო იქნება პირში მიიღობოთ.

**პარასკევი 19 თებერვალი.** ერთი კვირე გავიდა ეროვნულ დარაჯებს სოციალ-დემოკრატია ვერაგობაზე არაფერი დაუწერიათ. ეს დუმილი აღბათ „პერეგრუპიროვეკით“ იყო გამოწვეული. სამაგიეროთ დღეს ითვეტა:

„ჩვენ არ გვეცხულება ისეთი თავტელი ადამიანი, რომელმაც გბეჭოს და სთქვას, საქართველო ჩემი სამშობლო არ არის“\*).

\* ) მე კი ბლომათ მეგულება ისეთი თავტელი ქართველი, რომელიც ბედავს და სხვებს უბნება: საქართველო ზენი სამშობლო არ არის.

ეს რა ამბავია? ღმერთო ჩემი! მაშ რასა სწერ-დენ 10—12—13 თებერვლის ნომერში? ნუ თუ აქ დალატია? განა შეიძლება ფედერალისტები სამ-შობლოს დალატობდენ? რამდენი მსხვერპლი შექ-წირავთ მამულისათვის... გაიხსენეთ განვილი-ლი მოძრაობა. ოჯგურ იყვნენ მცხეთაში სააგიტა-ციოთ და ერთხელ საგურამოშიაც. არა, ეს ალბათ შეცდომა.

,მით უფრო ჩვენ არ გვეცულება ისეთი ქართ-ველი საზაფალოებრივი ჯგუფი, რომელსაც შეეძლოს განაცხადოს მე სამშობლო არა მაქს და კიდევ რომ მექონდეს იგი მაინც საქართველო არ იქნებათ“.

თავგბრუ მეხვევა. ნუ თუ ყოველივე ეს მართლა ასე სწერია, ყოველივე იმის შემდეგ რაც ის ზემოხსენებული ისე ეწერა? აქ ან დალატია, ან მე ვარ სიზმარში. ან მე შევიშალე, ან ისინი, დავიც-ლი საღამომდე, კიდევ გადავიკითხავ. იქნებ ახლა თვალი მიბოროგას.

მორიელი.

## ახია, ახი!

ვა, ვა, ასტვაც, ტერ-ასტვაც! მე ამისთანა აბრუნდის წელიწადი ჩემს დღეში არ მინახამს! ენტა პრამა ვტაროი პრაშესტვია ეიბოლუ! ძალი პატრონს ვეღარა სცნობს რალა! მინდა ვსთქვა და თანაც ვერ გამიბეღნია ენა მიღუნდება, შიშით კრიქა მეკრება. ასე შეონია რომ ჯოჯონხეთის სა-კირეში ჩამხრუკვენ მეტქი.

ვა, ვა, ვა, ვა! ნეუშელი მილოვმა და ადელ-ხანოვმა ვარავსტვა დაიწყეს! მერე სამი მილიონი ეყ, შუტკა შტოლი სამი წელიწადი რომ ვსთვალო მაინც სასჩიტაიტს ვერ უზამ! ვა, აფხუს გრიგორ გრიგორიჩ! ქრისტიანო, განა ადელხანოვს თავისი მაუდი ცოტა აქვს რომ კიდენ სხვას არ ასწავნოს! მერე ვისა ჰპარავს კაცო, საწყალ სალდათებს. ასი ნი ვანში სიცივით კვდებიან და ეს აქ ავტომო-ბილით დაბრძანდება და ბუმბულში ხერინავს. არა, რატომ ღმერთის აღარ ეშინიან!

ვა, მილოვი კაცო! იძახის პერვოი გილდის კუპერში ვარო, ვაკრების გლავნოკამანდუიუჩიო. კაი იმის ცხვირს მოუვა, კაი კამანდერი ისა ყოფილა. კაცი ამოტოლა ქურდობასა შრება და მიკვირს როგორ ისვენდეს! ნეუშელი სოვისტი სავსემ აღარა აქვს! რა ვიცი კაცო, ცხონებულ მამიჩმისთვის კუბოს მიტკალი რომ ვიყიდე სლუჩაინათ ერთი

არშინი ლიშნათ გადმოუყენა ბაზაზს და ერთი წე-ლიწადი შიშით ვკვდებოდი, სულ სიზმარში მე-ლანდებოდა: კუბო, მიტკალი, ტერტერა და ტი-რაცუა. სანამ იმ არშივის ფული არ მივეცი ვერ მოვისვენე რაღა არა რომ ჰკითხოთ კრუპი კა-ცები ვართო, ტურცია უნდა დავამარცხოთ და არმიანსკი გოსუდარსტვა დავაარსოთო. აზირ რა კარგი კაროლები იქნებიან! ვინ იცის, იქნება სულ ორ კვირაში გამოუყვაინონ წირვა მთელ გოსუდარ-სტება! არა, უდივიტელნი ის იყო „ეშმაკს“ რომ კარიკატურწერი კარტიქაში დაეხატნა! ვა, რა მა-ზალოა კაცო, თავიანთ მოპარულ მაუდის შინე-ლებს თითონვე რომ აცმევდენ ვირის აბანში!

ღმერთმა ააშენოს ჩვენი პოლიცმენისტარი. არა, რა გემოზედ გააპრავაუიტა მეტების ციხისკენ! მა-ლადეც ჩენი სლოვა! ახია იმათხე, ახი! პირძალ-ლი ვიყო, თუ დამენანოს, მე ჩარექ ღვინოს არ მაყიდინებდნენ და ისინი კი სამი მილიონობით ყლაბავლენ კაზიონი იმუშებსტებას. კუპერშები ვარ-თო! კუპერშები არიან და მიბრძანდნენ კარტეუნი რაბოტაში, ისინი კანდალებით გარაჩხუნდებიან ტიფლისიდან და მე კი ეს გაქუცული ბაგრატა ისევ აქ ვიქნები ქალაქში. რეზინივით ხან გავიწე-ლები და გავგძელდები, ხან დავმოკლდები. ხან ფულიანი ვიქნები, ხან უფლულო. ჩესტნათ ხომ ვიქნები. ეგნიც ღმერთმა შაარცხვინოს და მაგათი ბაგატესტვაც. ახია რაც მოუვათ, ახი!

გოგია.

## მესტვირული

რაც დავისვენე მეყოფა  
ხელთ ავიღე გლდა-სტვირი  
მინდა გიოხრა ყველაფერი  
ხალხის წყლული, ხალხის ჭირი.

ბევრი არის მეზობლებში  
არამზადა მავნე პირი,  
მათ არ ესმით ახლობელის  
განა კვნესა, გასაჭირი?

უფროსობას იჩემდენ  
დრო დაუდგათ მშვენიერი,  
მუშა მიჰყავთ პარტიობით,  
აირია მონასტერი.

ბათუმშიაც გიახელი,  
საქმე ვნახე სატირელი,  
ერთად იდგა მუშის გროვა,  
გაშრობოდათ ნერწყვი, ყელი.

—  
უფროსებსა წაეყვანათ  
სამუშაოთ სადღაც მთაში,  
შემდეგ იგი გაპაროდა,  
ვერ ენახათ ვერსა გზაში.

—  
ფული სრულათ წაერთმია,  
გამჭრალიყო, ვით ისარი;  
საქმე ექმნა უსინდისოს  
თვით იუდის დასადარი.

—  
ინერინერთან რომ იჩივლეს,  
მუშებს სტკუცეს ციფი ვარი;  
ერთად იდგნენ და ფიქრობდენ:  
სამართალი სადღა არი!

—  
ასე ყვლეფენ თავის მოძმეს  
და ძრობენ მუღამ ტყავსა,  
აბა მითხარ, მითხარ ერთი  
ეს ამბავი რამეს ჰგავსა?

—  
საჭიროა გამომეღავნდეს  
მავნე პირთა სახელები,  
რომ შემდეგში არ მოსტუუდეს  
მათი სიტყვით სოფლელები.

—  
შანტაჟისტთა თარეშობას  
აღარა აქვს დღეს საზღვარი,  
დრო დაუდგათ პარაზიტებს  
მოსაგები, სულ სხვა გვარი.

—  
აბა, სტვირო, არ გაფუჭდე,  
შენ კილოსა ვენაცვალე,  
კიდევ მინდა ლექსის თქმით  
ორი სიტყვა დამაცალე;

—  
ოზურგეთში ჩავიაროთ,  
აქაცაა სამათრახო,  
მათი საქმე საგმირონი  
მსურს ქვეყანას დავანახვო.

—  
აქაური რაინდია,  
ბნელი საქმის მოციქული,

რეაქციას როცა ხედავს,  
მაშინ არის გაბედული:

—  
მაშინ უკრავს მხიარულათ  
მისი დაფი და ნალარა,  
იმას ლანძღავს, ამას ლანძღავს  
შორს ვერ მხედი და ხუმარა.

—  
სიბრელესა შესტრეფიალებს,  
მის წინ იყრის მეტანის,  
ბევრი ლანძღვა და გინება  
უძღვნა ნოე უორდანის.

—  
სამკითხველოში შევიდა,  
სურათიც კი შეუგინა  
და მით იგრძნო სიხარული  
მავნე პირმა გულსა შინა.

—  
ნეტა თვითონ ვინ ბრძანდება,  
რა პირი და რის მომქმედი!  
როგორი აქვს თეორია,  
რისი არის თვითონ მჭედი?

—  
როცა ლანძღვით იხსენიებს,  
ვინც ქვეყნისთვის დასდო თავი  
და მუშებსა დაანახვა  
ყველაფერი: თეორი, შავი:

—  
აბა, სტვირო, არ გაფუჭდე,  
სიტყვის თქმით კიდევ მინდა,  
მოღვაწისა მგინებელსა  
სხვა რა ეთქმის: — „არაწმინდა“!

ბუჯგური.

## რა ღრო დაგვიდგა!

ხელში ავიდე ქამანჩა  
ჩემი, ძველთაგან-ძველია;  
მინდა დავიწყო ღილინი  
ღმერთო შემიწყე ხელია.  
დაკვრა და მღერა კი ვიცი  
თუმც არ ვარ ფარახელია,  
დაე მიწოდონ მესტვირე  
თბილისის ქალაქელია.  
სულ გამოვაჩენ აშკარად  
ვინც ქვეყნის დამლუბველია,

ვინცაკი ცხვრის ტყავსა ატარებს  
შიგ გახვეული მგელია,  
ვისაც ლარიბი მცხოვრები  
ფეხის ქვეშ გაუთელია  
და ვინც (უდანოთ) ხალხისა  
ყალისა გამომჭრელია.

შიულილინოთ, ქალაქის  
ვინცა ბრძანდება თავათა...  
და გაუსინჯოთ მას მაჯა,  
ხომ არ გამხდარა ივათა?  
რათ არ ჩაივლის ყასპებში  
ხორცისა სანძავათა  
რათ გაუხთია მცხოვრებში  
მას იმათ ჩასანთქავათა?

მეპურეებმაც სხვა ხერხით  
გამოგვიცხადეს ომია,  
პურს კი ჰყილიან ნიხრზედა,  
მაგამ ის თბილი ცომია...  
აბა გაბედე, ხმა გაეც,  
თუ ბედი შემოგწყრომია...  
ვგონებ ას თუმნად გიღირდეს  
თავისა შესაძრომია.

დიდრონ ვაჭრებმაც იდროვეს,  
ბრძოლა ძევთ გამწვავებულიო...  
ეს თუმცა ქველი წესია  
ქველად არიან ქებული...  
შემთხვევით ხალხსა სძარცვავენ  
ფრთხილათ ჰყავთ გარყავებული,  
ფუი, დასწყევლოს უფალმა  
ნაძარცვით გამდიდრებული!

ქვეყანა სისხლმა მოიცა  
ხალხიც შიგ სისხლში ირჩიბა  
ვაჭრებისათვის კი ეს დრო  
საბეჭნიეროთ იშობა.  
მათ არ იციან სინდისი,  
სირცხვილი, არცა შიშობა,  
ესე არს მათი ხელობა  
მათი მოდგმა და ჯიშობა.

მე ჩემსას ვიტყვი, ვისაც სურს  
და დამიწყოს გინება...  
დაჩუმდეს მაშინ, როდესაც  
ყბედობა მოეწყინება.  
ვიცი ბევრს აწყენს ლილინი  
ლმე არ დაეძინება  
ბევრს ააკვენესებს, ატირებს  
ცრემლები დაედინება.

ან. განჯის-ქარელი.

## გურული სცენა.

ხა ხა, ხა, ხა! ხი, ხი, ხი! აი და უი, ვაი  
და უი, ქვაი და რკუი, არ გეგონო ბუუი, კაცი  
ვარ ტლიკვი, თუ დამჭირდა ბლიკვი—იმისანას მე-  
ვიქნევ, რომე კაცს ფშვნილათ გავხო; დედავ! აბა  
რუა გონია, კაი ბიჭი გურული, გაბედული, შეკინ-  
ჩილაი, ჩაქურაი. დამიბარეს ყრილობაში, გაფში  
და მივედი, ვინ მიმასხობდა თუ რცი, ბოლოს მის-  
ვლას ვიკადრებდი თუ?

გამუაცხადეს, რომე ვისაც სალდათში ყავს  
ვინმე წასული, იმას ფულებს მისცემნო, წამხორ  
საქმეზე არ უშავს მეთქი, მომცეს ერჯელ სამი  
ტლიკვი თუმანი, მიყედი მორეჯერ მომცეს ორი თუ-  
მანი, აი რაა თუ იცი მეთქი—ვეთხარი მამასახლისს  
უწინ სამი თუმანი, ახლა ორი თუმანი, აქანაი კენ-  
კობიე ყოფილა, აწი კაპეკი შეიქნება და კაპეკ-  
კიზა აქანაი რაფერ ვიარო მეთქი; არაო, ერთი თუ-  
მანი ქთამათ გვინდა მე და ჩემ წერალ ონისიმესო;  
ხომ ხელავ საქმე გაგიყეთოთ. ახლა გევიმართვ წე-  
ლში, გადვიწკვერტე ულუაში, შევაქანე კაბალახი!  
ვიშიშვლე ფიშტო და აბა თქვენ და აბა მე მეთქი,  
უყვირე და უყვირე, გეიცა მამასახლისი, გეიპარა  
ონისიმა წერალი, გამივენთე ორვეს, ვსდიე და  
ვსდიე; იგინს ჩრხა ეცა მე ჩაქურაი, გადავახტი  
ლობეს, ნაგრს, ბარდს, სახლს, დუუსარი თავა, შეე-  
ჩიხე შუაში ორუე, უცხუნე და უცხუნე, უთაქე  
და უთაქე და ჩემი თუმანი დავაკარჭლიე. მე გახლა-  
ვარ კაი ბიჭი, ტლიკვი ბიჭი, შეკინჩილაი, ჩაქურაი.

ბუჯგული.



## დეპეშები.

**ბათობი.** 23 თებერვალს, საქრისტიანო „საქართველო“-დან აქ ჩამოვიდა და სამაჭალიანო საუკართველოში მიემგზავრება

ბ. Legatus: როგორც გავიგეთ მისი მიზანი ყოფილა: გამოიკვლიოს თუ რამდენი ქვისაგან იყო აშენებული ძევლად აჭარეთში, ეკლესიების თვითეული კედელი.

— ამ დღეებში აქ გაიფიცენ ჭოროხის გაღმა მომუშავე მუშები, და წარუდგინეს საქმის მწარმოებლებს გემდეგი მოთხოვნილებები: 1) მუშის ხვედრი ქირილან მოიჯარადრე უნდა დასჯერდეს მხოლოდ  $20\%$ -ს, „ტაბელჩიკი“  $20\%$ -ს, ხოლო უფროს „მუშას“ კი უნდა მიეცეს  $15\%$ . დანარჩენი უნდა თანასწორად გაიფლანგოს ბანქოში და კამათალში. 2) მიენიჭოს მუშას სრული თავისუფლება ზემოხსენებული გასართობებით სარგებლობის. 3) აიკრძალოს ავათ განაკვეთი. 4) განსაზღვრულ იქმნეს დრო შემდეგ ნაირად: 13 სასთი მუშაობისთვის, 7 საათი კამათლის და ბ-ნების თამაშობისთვის. 4 საათი ძილისთვის და დანარჩენი კი უურნალგაზეთების კითხვისთვის.

ვინაიდან გაფიცვა მტკიცე და ერთსულოვანი იყო, ამიტომ იგი მუშების სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა. და ყველა მათი მოთხოვნილებები უცვლელად დააკმაყოფილეს.

ხოპი. (ბათუმის რაიონი) ხოპის ახლოს ჩაირული გემის ამოღებისთვის და უფრო ღრმა აღგილზე ჩაძირვისთვის, ბ. ჭედიამ მიიღო 30.000 მ. „ხარჯი“ კი მოსვლია „ამოღება“ ჩაძირვაზე 40.000 მან. უზარალნია წმინდათ 10,000 მან. ამბობენ: ამ ზარალის ანაზღაურებას აპირებს მთელს ლაზის-ტანში მის მიერ გამოუხადებული თხილის მონოპოლითო.

— აქ გადმოსხეს ხუთი ათასი კაცისაგან შემდგარი ქზიყველთა კავალერიის დესანტი. ჯარის სარდალი ბ. კედია ბძანდება (ჭედია არ გეგონისთ) თუ საით უნდა დაიძრას ეს მტრის თავზარდამცემი არმადა, ჯერჯერობით არავინ იცის.

კვახი.

## დიდი ჯიხაძე

ოცდა ათამდე იქნება  
ჩვენში მკერავი ქალები...  
მათვის უცნობი ხილია  
წიგნები და უურნალები...

ნეტავ ვიცოდე თუ როდის  
აეხილებათ თვალები,  
რომ ვნახო სამკითხველოსკენ  
ხალისით მომავალები?

ერთხელ, ერთმანეთს კინალაშ  
აგლიჯეს თმა-დალალები...  
ვსჭრეტდი და მეცოდებოდენ  
ასულნი შესაბრალები...

პოლიციაში მიბრძანდენ  
ბრძოლაში დანაღალები,  
უკან დარაჯი მისდევდა  
უებ და ფეხ ნაჩანჩალები.

გაი სირცხვილო! რას ხედავს,  
ჩემი ცოდვილი თვალები  
როგორ ლანძღავდენ ერთმანეთს  
დიაცნი განა-მთვრალები!

მარტო ჭრა-კერვა არ კმარა  
ჯიხისშელო ქალებო  
ცოტ-ცოტა წიგნიც იკითხეთ  
იაგუნდნო და ლალებო.

კიქოლა ბიჭი.



# კოსტატ

„ეშმაკის მათრახის“ რედაქტურა ამით აცხადებს, რომ უსახლო ავტორებისა და უცნობ პირთა წერილები უკრნალში არ დაიბეჭდება.

შემთხვევითი კორესპონდენტის ენიაობას და წერილში აღნიშნულ ამბის სისწორეს უნდა ამოწმებდეს ვინმე რედაქტორისთვის სანდო პირი.

სარედაქტო წერილი უნდა დაიწეროს ქალადის ცალ გვერდზე და ყოველ აღნუსხულ ამბავს თან ახლდეს საჭირო ახსნა-განმარტება.

რომ სარედაქტო წერილი რედაქტურაში მოსულამდე არ გახსნან, საჭიროა კონვერტზე ადრესის შემდეგ დაწეროს: „ეშმაკის მათრახისათვის“.

უმარკო წერილებს რედაქტურა არ იხსნის და დაწუნებულ მასალებს არ ინახავს.

## არ. იგარგეს.

„გულში გრძნობა ამითუვდა  
სიცივეში ტანნაბანებს...“

დმიტო, დმიტო, მეც მაღარსე  
სიცოცხლე და ქარგათ უოფნა“

თქვენდა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იშვიათია ეგზომ შესაფერი ფსევდონიმი ქართულ მწერლობაში.

## გაერ-ხონელას.

„მსურს ბრძოლის გელზე  
გაფინავარდო

და ცხელი რეინა ველაშვილ  
გიო ფაფა...“

გიშური არის წემი მიღრება  
და ჩემი სულის უფოთელი  
სწრაფება.“

ეს ერთი გვიპატივებია. შემდეგ კი, რედაქტურაში გასაგზავნად დამზადებულ კონვერტს, ასე დააწერეთ: ქ. ქუთაისი. ცისფერი ყანწების რედაქტორი.

დ. უარაჯაშვილს. „უმორჩილესად გთხოვთ შე-  
ასწრობო ჩემი პატარა ლექსი კრუზ იყოს“  
და დამიბეჭდოთ“

იწერებით კერძო ბარათში. მართლაც თქვენი ლექსი ძლიერ პატარა, მაგრამ სამაგიეროთ დიდათ უვარებისია. შესწორებაზე ფიქრიც მეტია.

თ. ირინეშვილს. გარშმუნებთ, რომ თქვენი ლექსი ვერავის სახელს ვერ შემატებს. ნორჩ გრიშას.

„რაბლები რომ ქალმა ნახა  
მდგდელს დაუკოცნა წერია...  
ეს უნდოდა ამ მდგდელსაცა  
მას ქალს მოხვია სელია“. აი, აი, აი! ასეთი ნორჩი ყოფილხართ და უკვე რაბზე ფიქრობთ... ჯანი გავარდეს, იფიქრეთ თუნდა მაგისთანებზედაც, ოლონდ ლექსის წერას კი დაანებეთ თავი.

# განამილებები

1 მასილან ქალაქ თფილისში გაისნა უურნალ-გაზეთების კანტონია

გვი-ჯერობით ფერტეს გაუგადება უტელი გაზეთები: „თანამეტელოვე აზრი“, „ემსა-  
ცის პატარა“, „ოთხი“, „ოთხი“, „ცხოვრება“, „ქუთათური ახალი ცეც“, „კავკაციუ-  
სლოვა“, „ობილის ლისტოვი“, „ორიზონი“, „მშეცა“, „ლა საბაბალუა“.  
„შეწობი“, ვალდებულია მთელი თვეთ ღამითი გაზეთების ვაჲ წილაუზნ გაღიანა-  
ღან. წინააღმდეგ შემოხვევაში გაზეთები არ გავგანვიათ.  
ფული და წერილები უნდა გამოიგუნოს შემდეგი აღრესით: თიფლის, პიტ. ქ. 96,  
Сильвестру P. Тавартиლадзе.  
კანტონის აღრესი: თბილისი, № 6.

მისამართის გვერდი 1916 წლის 20 იანვარი.

ქართულ-კვერცხული იუმორისტული გამოცემა

# ეჭვაკის აკადემიი

ფურნალის სამხატვრო და სალიტერატურო მხარეს განაცემი ეშმაკი და თაგუა,

ხოლო გამოცემის ხაქმანი ა. გ. ბუკია.

ფურნალის ფასი - 12 თვით 5 გ. ♦ 6 თვით 3 გ. ♦ 3 თვით 1 გ. 50 კ. ♦ 1 თვით 50 კ.  
„ეშმაკის მათრაზში“ დაიბეჭდება მ 6 ა. ლ ი დ იუმორისტული შინაარსის წერილები, ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები,  
არაკები, ზარალები, გამოცანები, ნაკვესები და სხვა.

♦ უფრო დაიბეჭდება საერთაშორისო ომის ილიუსტრაციები.

რედაქცია სთხოვს ყველა თანამშრომლებს, მასალები გამოგზავნონ

ამ აღრესით:

Тифлисъ

\*)

С. Р. Тавартиладзе.  
Огинская 6,  
Почтов. ящ. № 96.

(ეშმაკის მათრაზისათვის)



\*) ეს ადგილი კანვერტში მარკისათვის არის დანიშნული და გულმავიწყებს მოვაგონებთ, რომ  
— უმარკო წერილებს რედაქცია არ დაიხსნის —♦